

ნადარბაზვის ტბის მარაგები

დასკვნა თევზის მარაგის და ქვოტების განსაზღვრის შესახებ ნადარბაზვის ტბაში ჩატარებული საკონტროლო თევზჭერის მიხედვით

2025 წლის 26-27 დეკემბერს, ნადარბაზვის ტბაზე ჩატარდა საკონტროლო თევზჭერა. ჭერის დროს გამოყენებულ იქნა შემდეგი თევზსაჭერი იარაღები:

- განხორციელდება 4 სახლართი ბადით, რომელთა სიგრძეა 50 მეტრი, სიმაღლე 2,5 მეტრი, ხოლო თვლის ზომა 60 მმ.

თევზჭერა გაგრძელდა თითო დღეს 6 საათი. შედეგები მოყვანილია ცხრილში, სადაც ნაჩვენებია ჭერის დროს მოპოვებული თევზების სახეობების რაოდენობა და საერთო წონა.

ჭერის შედეგი, 26-27 დეკემბერი. ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო.

სახეობა	რაოდენობა	საერთო წონა (კგ)
სქელშუბლა საშუალო წონით 4,4კგ	46 ცალი	202,5 კგ
კობრი საშუალო წონით 3,2 კგ	13 ცალი	41.6კგ
კობრი საშუალო წონით 5 კგ	3 ცალი	15 კგ
ამური საშუალო წონით 6,2 კგ	23 ცალი	142კგ
კარჩხანა საშუალო წონით 0,1 კგ	90 ცალი	9.0 კგ

თევზჭერის გაერთიანებული მონაცემები

სახეობა	რაოდენობა	წონა (კგ)	% რაოდენობა საერთო ჭერილში წონის მიხედვით
სქელშუბლა	46	202.5 კგ	49,4 %
კობრი	16	56.6 კგ	13,8%
ამური	23	142 კგ	34,6%
კარჩხანა	90	9.0 კგ	2,2 %
სულ	175 ცალი	410.1 კგ	100%

თევზჭერის დროს ხდებოდა მოპოვებული თევზების ვიზუალური დათვალიერება. ჩატარდა შეგროვებული მასალის ბიომეტრიული და სტატისტიკური დამუშავება, რათა მომხდარიყო ტბაში თევზის მარაგის დადგენა.

ნადარბაზუვის ტბის თევზის მარაგების დასადგენად აუცილებლად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები და მონაცემები:

- 2016 წლისთვის ტბაში არსებული თევზის მარაგები (საკონტროლო ჭერის მონაცემების მიხედვით);
- 2016-2017 წლის სათევზჭერო პერიოდში მოპოვებული თევზის რაოდენობა (სარეწაო ჟურნალის მიხედვით);
- 2015 წლის გათევზიანების მონაცემები და გაშვებული თევზის დასაშვები დანაკარგის და წონამატის გათვალისწინებით (2016 წლის საკონტროლო თევზჭერის მონაცემებზე დაყრდნობით);
- 2017-2024 წლის საკონტროლო ჭერის მონაცემები;

ამისათვის გამოყენებულ იქნა მურფი და ვილისის (1996), პოგარტი და სხვ (2006), კრებსის (1999), სოკალი და როლფის (1981), კლარკი და სხვ (1977), რიკერის (1975) მეთოდები. მოხდა მონაცემების გაანალიზება და შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე კვოტების გამოყვანა.

მარაგების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა მეთევზეობის მენეჯმენტის სამეცნიერო პროგრამის (FMSP) ფარგლებში შემუშავებული სახელმძღვანელო იქთიომასის განსაზღვრისადვის (FAO, 2006, Hogart et al, 2005, 2006) და ამ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამები:

CEDA (Catch effort data analysis) რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ქარავნის ზომა, ჭერადობა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრი.

ამ პარამეტრების განსაზღვრის გარდა, დაანგარიშებულ იქნა 2015 წლის გათევზიანების შედეგად ტბაში არსებული თეთრი სქელშუბლას რაოდენობა და საერთო წონა, რისთვისაც გავითვალისწინეთ შემდეგი მანაცემები:

- 2014-2015 წელს გაშვებული თეთრი სქელშუბლას ლიფსიტის წონა და რაოდენობა - 60000 ცალი, თითო წონა 5 გრამი;
- ბუნებრივი დანაკარგის კოეფიციენტი - გაშვების პირველი წელი 15%, გაშვების მეორე წელი 5%;
- 2017 წლის საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი - 1,0 კგ.
- 2018 წლის საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი - 0,5 კგ.
- 2019 წლის საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი - 0,5 კგ.
- 2020 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,5 კგ.
- 2021 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,4 კგ.
- 2022 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,4 კგ.
- 2023 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,3 კგ.
- 2024 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,3 კგ.
- 2025 საკონტროლო ჭერის დროს დადგენილი წონამატი 0,4 კგ.

ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე მოხდა 2014-2015 წელს გაშვებული თეთრი სქელშუბლას საერთო წონის გამომანგარიშება, რამაც შეადგინა 97,000 კგ.

2015-2022 წლების საკონტროლო ჭერების, თევზჭერის დროს მოპოვებული თევზის რაოდენობის და გათევზიანების მონაცემების გაანალიზების შედეგების მიხედვით დღეის მდგომარეობით ნადარბაზევის მარაგები და ამის საფუძველზე დაანგარიშებული კვოტები მოცემულია წარმოდგენილ ცხრილში:

სახეობა	მარაგი (ტონა)	კვოტა (ტონა)
სქელშუბლა	99	10
კობრი	23	1
ამური	15	1
კარჩხანა (კარასი)	2	
	136	

Hoggarth DD, Mees CC, O'Neill C, Hindson J, Krishna M (2005) A guide to fisheries stock assessment using the FMSP tools. Marine Resource Assessment Group, London.

Hoggart DD, Abeyasakera S., Arthur I.R., Beddington J.R., Burn R.W., Halls A.S., Kirkwood G.P., MacAllister M., Medley P., Mees C.C., Parkes G.B., Pilling G.M., Wakeford R.C., Welcomme R.I. (2006) Stock assessment for fishery management. FAO Fisheries Technical Paper No 487 Rome, Italia: FAO

Krebs C.J (1999) Ecological methodology (Vol 620). Menlo Park California Benjamin/Cummings.

Murphy B.R., Willis D.D. (1996) Fisheries Techniques. Second edition. American fisheries Society, Bethesda. Maryland

Sokal R.R., Rolf F.J., (1981) Biotelemetry. 2nd edition. Freeman, San Francisco

Ricker W.E (1975) Computation and interpretation of biological statistics of fish populations. Fisheries Research board of Canada. 191.

Hilborn R., Walters C.J. (1992) Quantitative fisheries stock assessment. Chapman and Hal., New York.